



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №34
ივლისი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №34 ბიულეტენს, სადაც აღწერილია ივლისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. ანგარიშები ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო სქემის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) 21 ივლისს გამოაქვეყნეს ანგარიში, რომელიც ამომრჩეველთა მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების მასშტაბურ სავარაუდო სქემაზე მიუთითებდა.¹ კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთა მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველთა ხმების მობილიზების მექანიზმი, რომლითაც, მაღალი ალბათობით, დასტურდებოდა სახელმწიფო უწყებების პარტიული მიზნებისთვის გამოყენება.² დოკუმენტის მიხედვით, ამ უწყებების მეშვეობით, სავარაუდოდ, გროვდებოდა მოქალაქეების პერსონალური ინფორმაცია სამომავლოდ მათზე ზეწოლისა და მოსყიდვისთვის.³ კვლევა დაეყრდნო ე.წ. მამხილებლის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის - იოსებ (სოსო) გოგაშვილის მიერ გადაცემულ მასალებს.⁴

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიერ 8 ივლისს გამოქვეყნებული კიდევ ერთი კვლევის თანახმად, პრობლემად რჩება პარტიებს შორის ფინანსური უთანასწორობა.⁵ კვლევის მიხედვით, 2021 წელს ქართული ოცნების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლები და ხარჯები დანარჩენი პარტიებისას თითქმის ორჯერ აღემატებოდა, რაც პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ფინანსების უკიდურესად არათანაბარ გადანაწილებაზე მიუთითებს.⁶

¹ „არასამთავრობოები მმართველი პარტიის მიერ არჩევნების გაყალბების სავარაუდო სქემაზე საუბრობენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 21 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/501643>, განახლებულია: 02.09.2022.

² „სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების აპრობირებული მეთოდები საქართველოში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 21 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RfsfJt>, განახლებულია: 02.09.2022.

³ იქვე.

⁴ „არასამთავრობოები მმართველი პარტიის მიერ არჩევნების გაყალბების სავარაუდო სქემაზე საუბრობენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 21 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/501643>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵ „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2021 წელს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3R5KT6u>, განახლებულია: 02.09.2022.

⁶ „TI საქართველო“ პარტიებს შორის ფინანსების არათანაბარ გადანაწილებაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/499971>, განახლებულია: 02.09.2022.

II. „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრების მიერ დაარსებული ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა

27 ივლისს დეპუტატმა მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნებიდან“ წამოსულ დანარჩენ ორ დეპუტატთან - დიმიტრი ხუნდაძესა და სოზარ სუბართან ერთად ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას აპირებდა.⁷

28 ივლისს „ქართული ოცნება“ კიდევ ერთმა დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა დატოვა და ზემოხსენებულ მოძრაობას შეუერთდა.⁸ მაჭარაშვილის განცხადებით, მან პარტიის დატოვება აუცილებლად მიიჩნია საზოგადოებისთვის ობიექტური და საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად.⁹

იმავე დღეს ცნობილი გახდა, რომ „ქართული ოცნებიდან“ წასული დეპუტატები საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნას აპირებდნენ.¹⁰ ამის თაობაზე სოზარ სუბარმა პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა და მოძრაობის მთავარ მიზნებად საგარეო პოლიტიკაში პასუხგაუცემელ შეკითხვებზე პასუხების პოვნა, ომის საფრთხის არიდება და საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფა დაასახელა.¹¹

III. საკადრო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანოებში

11 ივლისს ლაგოდეხის, ახალციხის, ჭიათურის, თერჯოლისა და გორის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეების მოადგილეებმა მმართველი პარტიის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.¹² პარტიიდან წასვლის შესახებ თავდაპირველად ლაგოდეხის საკრებულოს დეპუტატმა გიორგი ლამბაშიძემ განაცხადა და საკუთარი გადაწყვეტილება, მანამდე „ქართული ოცნებიდან“ წასული პარლამენტარების მსგავსად, უფრო ღია ტექსტებითა და თავისუფლად საუბრის მიზნით დაასაბუთა.¹³ მოგვიანებით, ანალოგიური შინაარსის განცხადება გაავრცელა ნიკა სამხარაძემ ჭიათურის საკრებულოდან.¹⁴ ლამბაშიძესა და სამხარაძეს მალევე შეუერთდნენ საბა კბილაშვილი ახალციხის საკრებულოდან¹⁵ და მიხეილ გოგინაშვილი გორის საკრებულოდან.¹⁶

13 ივლისს „ქართული ოცნებიდან“ წასვლისა და დაკავებული თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადეს ასპინძისა და ადიგენის საკრებულოების ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეებმა - გია ჭელიშვილმა და იმედა მღებრიშვილმა, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან.

⁷ მიხეილ ყაველაშვილის Facebook-გვერდი, 2022 წლის 27 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KEr1Vw>, განახლებულია: 02.09.2022.

⁸ „მაჭარაშვილი ყაველაშვილს, ხუნდაძესა და სუბარს უერთდება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31963641.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁹ იქვე.

¹⁰ „ოცნებიდან“ გასული დეპუტატები სამოქალაქო მოძრაობას შექმნიან“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31963806.html>, განახლებულია: 02.09.2022.

¹¹ იქვე.

¹² „რეგიონების საკრებულოებში „ოცნების“ წევრები პარტიასა და თანამდებობებს ტოვებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/500081>, განახლებულია: 02.09.2022.

¹³ გიორგი ლამბაშიძის Facebook-გვერდი, 2022 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3SStcJ8>, განახლებულია: 02.09.2022.

¹⁴ ნიკა სამხარაძის Facebook-გვერდი, 2022 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bTpLRu>, განახლებულია: 02.09.2022.

¹⁵ საბა კბილაშვილის Facebook-გვერდი, 2022 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pdQueR>, განახლებულია: 02.09.2022.

¹⁶ მიხეილ გოგინაშვილის Facebook-გვერდი, 2022 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3du21no>, განახლებულია: 02.09.2022.

ბულოს დეპუტატმა ლევან კოჭლოშვილმა.¹⁷ დეპუტატებმა გადაწყვეტილება ასევე თავისუფლად საუბრის მიზნით ახსნეს.¹⁸

IV. მიხეილ სააკაშვილის საქმე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიის“ კონსილიუმის წევრის, ექიმ ოთარ თოიძის, განცხადებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაავადებები პროგრესირებადი იყო და სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის შედეგად მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.¹⁹ ექიმმა აღნიშნა, რომ დაავადების განკურნება ამგვარ პირობებში შეუძლებელია.²⁰ კონსილიუმის წევრები რეალური შედეგების მისაღებად მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას თავიდანვე ითხოვდნენ.²¹

11 ივლისს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაიდო დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის საქმეზე დანიშნული სასამართლო სხდომა.²²

16 ივლისს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის შინაარსის გაფართოების თაობაზე, რომელიც პატიმრის სასჯელის დაავადების გამო გადავადებას შეეხებოდა.²³ კანონმდებლობის მოქმედი რედაქციით სასჯელის გადავადება შესაძლებელია მხოლოდ მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში.²⁴ პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით კი, ეს შესაძლებელი უნდა იყოს მაშინაც, როდესაც მსჯავრდებული არ არის დაავადებული მძიმე ავადმყოფობით, თუმცა რამდენიმე დაავადება ქმნის თავისუფლების აღკვეთასთან შეუსაბამო ჯანმრთელობის მდგომარეობას.²⁵

29 ივლისს ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ მესამე პრეზიდენტის სასჯელის გადავადების შანსები გაზრდილი იყო და სააკაშვილი ქართული პოლიტიკით აღარ ინტერესდებოდა.²⁶ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ამას ადვოკატების დაცვის სტრატეგია უწოდა.²⁷

14 ივლისს კარლ ჰარცელმა განაცხადა, რომ ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას და საქართველოს ხელისუფლებისგან დაჟინებით მოითხოვდნენ სააკაშვილის, როგორც პატიმრის, უფლებების დაცვას, სათანადო მკურნალობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფას.²⁸

¹⁷ „რეგიონების საკრებულოები ქართული ოცნების კიდევ სამმა წევრმა დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 13 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/500477>, განახლებულია: 02.09.2022.

¹⁸ იქვე.

¹⁹ „ემპათიის“ კონსილიუმის ექიმი: სააკაშვილის ასეთი მკურნალობა შედეგს არ მოგვცემდა, ვამბობდით“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31934659.html>, განახლებულია: 02.09.2022.

²⁰ იქვე.

²¹ ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №33, ივნისი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AkHPxr>, განახლებულია: 02.09.2022.

²² „საკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაიდო სასამართლო სხდომა ე.წ. „პიჯაკების საქმეზე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31937851.html>, განახლებულია: 02.09.2022.

²³ „საკაშვილის ადვოკატი სასჯელის გადავადებაზე კანონის გაფართოებისთვის პარლამენტს მიმართავს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31950163.html>, განახლებულია: 02.09.2022.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

²⁶ „მელიას თქმით, ადვოკატების სტრატეგიის ნაწილია, რომ სააკაშვილი „პოლიტიკით აღარ ინტერესდება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 31 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31967472.html>, განახლებულია: 02.09.2022.

²⁷ იქვე.

²⁸ „ჰარცელი: დაჟინებით მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, დაიცვას სააკაშვილის, როგორც პატიმრის, უფლებები“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31942992.html>, განახლებულია: 02.09.2022.

V. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები

5.1. პროევროპული დემონსტრაციები

3 ივლისს თბილისში სახალხო მოძრაობამ „შინ ევროპისკენ“ რიგით მესამე პროევროპული საპროტესტო აქცია გამართა.²⁹ დემონსტრაციის მთავარი მოთხოვნა პრემიერ-მინისტრის გადადგომა და ეროვნულ თანხმობაზე დაფუძნებული მთავრობის შექმნა იყო, რომელიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას უზრუნველყოფდა.³⁰ აქცია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებით ჩატარდა.³¹ დემონსტრაციას შეუერთდნენ „ლელო საქართველოსთვის“ წარმომადგენლებიც.³² მომიტინგეების ნაწილი „ქართული ოცნების“ სათავე ოფისთანაც შეიკრიბა, ხოლო ნაწილი - მთავრობის კანცელარიასთან, მთავრობის სხდომის ჩაშლის მიზნით.³³ აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს ირაკლი ლარიბაშვილი გამოეხმაურა.³⁴ მან აღნიშნა, რომ შეკრება უშედეგოდ დასრულდა და მისი მთავრობის სტაბილურობას არაფერი ემუქრებოდა.³⁵ აქციის მოთხოვნებთან დაკავშირებით „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ არსებული პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნით იყო შესაძლებელი.³⁶ „გირჩის“ ლიდერის, იაგო ხვიჩიას თქმით კი, კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა საკონსტიტუციო ცვლილებებით ბუნებრივი საარჩევნო ბარიერის მიღება და ახალი არჩევნების ჩატარება უნდა ყოფილიყო.³⁷ მშვიდობიან დემონსტრაციებს მნიშვნელოვანი დემოკრატიული იარაღი უწოდა ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა.³⁸

5.2. პოლიტიკური პარტიების ხედვები ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების შესახებ

1-ელ ივლისს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად შეთავაზებულ

²⁹ „პარლამენტის წინ აქცია „შინ ევროპისკენ“ დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31927058.html>, განახლებულია: 02.09.2022.

³⁰ „აქცია „შინ ევროპისკენ“ მთავრობის ადმინისტრაციასთან დასრულდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31927988.html>, განახლებულია: 02.09.2022.

³¹ „ლელოს“ ლიდერები და მხარდამჭერები ოპერის თეატრის მიმდებარე ტერიტორიიდან პარლამენტამდე მსვლელობით მიემართებიან“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cCTrmm>, განახლებულია: 02.09.2022.

³² იქვე.

³³ „პროევროპული აქციის სამომავლო გეგმები და „ოცნების“ პასუხი“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/499516>, განახლებულია: 02.09.2022.

³⁴ „დემონსტრაციები უშედეგოდ დასრულდა - ლარიბაშვილი მოძრაობის „შინ ევროპისკენ“ აქციებზე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31934911.html>, განახლებულია: 02.09.2022.

³⁵ იქვე.

³⁶ „მამუკა ხაზარაძე - პოლარიზაცია არსებობს ივანიშვილის ხელისუფლებასა და დანარჩენ საქართველოს შორის, ამის გადაჭრის გზა მხოლოდ ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნაა - პროტესტი არ გაჩერდება, ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Rqsv8N>, განახლებულია: 02.09.2022.

³⁷ „იაგო ხვიჩია - აქციის მოთხოვნებს არა, მაგრამ ხალხის მოთხოვნას, საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ, ვუერთდები“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wPRpGu>, განახლებულია: 02.09.2022.

³⁸ „ჰარცელი მოქალაქეებს - ოთხ წელიწადში ერთხელ შეგიძლიათ უარი თქვათ მათზე, ვინც მოლოდინს გაგიცრუებთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31942951.html>, განახლებულია: 02.09.2022.

რეკომენდაციების შესასრულებლად გეგმა წარმოადგინა.³⁹ რეკომენდაციებზე მუშაობის პროცესში ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მზაობა გამოხატეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა.⁴⁰ სამოქალაქო საზოგადოებამ ხელისუფლებას 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად საკუთარი გეგმაც შესთავაზა.⁴¹

„ქართული ოცნების“ გეგმის პირველი პუნქტი პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას და ამ მიზნით აგრესიულ რიტორიკაზე მორატორიუმის გამოცხადებას შეეხებოდა.⁴² აღნიშნულს გამოეხმაურა „ლელო საქართველოსთვის“ წევრი სალომე სამადაშვილი, რომელმაც მმართველი გუნდის მიერ ინიცირებულ პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფს „ცენზურის კომიტეტი“⁴³ უწოდა და აღნიშნა, რომ დეპოლარიზაციის გეგმა უკვე ისედაც გაწერილი იყო ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმებაში.⁴⁴

4 ივლისს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა, სადაც ევროკომისიის რეკომენდაციებზე და ამ მიზნით კონკრეტული ნაბიჯების სწრაფად გადადგმის საჭიროებაზე იმსჯელეს, ხოლო მმართველი გუნდის წინადადება კომისიების შექმნის თაობაზე დროის განელვის მცდელობად შეაფასეს.⁴⁵

25 ივლისს საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა,⁴⁶ არასამთავრობო სექტორთან და ექსპერტებთან ერთად, მმართველი გუნდის სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების პარალელურად, ალტერნატიული სამუშაო პროცესი დაიწყო.⁴⁷ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის განცხადებით, მათი მიზანი იყო თორმეტივე საკითხზე რეკომენდაციების შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების მომზადება, რომლებსაც პარლამენტში სექტემბერში დაარეგისტრირებდნენ.⁴⁸

³⁹ „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის 12 პირობის შესასრულებლად გეგმა წარმოადგინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31924843.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴⁰ „არასამთავრობოები ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებისთვის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის მზად არიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 12 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/500270>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴¹ „არასამთავრობოებმა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/502353>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴² „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის 12 პირობის შესასრულებლად გეგმა წარმოადგინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31924843.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴³ „სამადაშვილი „ოცნების“ გეგმაზე: იმედია, ოპოზიცია არ აპირებს, შეჰყვეს ხელისუფლების უაზრო თამაშს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31924886.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ „ოპოზიციის შეხვედრა დასრულდა - „არანაირი კომისიის შექმნა და კომისიებში მუშაობა არ სჭირდება ქვეყანას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31928419.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴⁶ ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლელო საქართველოსთვის, სტრატეგია აღმაშენებელი, პარტია საქართველოსთვის, დამოუკიდებელი დეპუტატები: თამარ ჩარკვიანი, თამარ კორძაია, შალვა შავგულიძე, არმაზ ახვლედიანი.

იხ. „ოპოზიციის ნაწილმა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებისთვის ალტერნატიული სამუშაო პროცესი დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 25 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/502000>, განახლებულია: 02.09.2022.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ „ოპოზიციის ნაწილი ევროკავშირის 12 პირობის შესასრულებლად ცალკე პროცესს გეგმავს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31955588.html>, განახლებულია: 02.09.2022.

5.3. ევროპარლამენტარების დელეგაცია საქართველოში

20 ივლისს ევროპარლამენტართა დელეგაცია⁴⁹ დევიდ მაკკალისტერის (ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი, ქრისტიან-დემოკრატები) ხელმძღვანელობით საქართველოში ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.⁵⁰ შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მაკკალისტერმა აღნიშნა, რომ საქართველოზე საუბარს ყოველთვის თან ახლდა პოლარიზაციის საკითხი, რაც უნდა შეცვლილიყო.⁵¹ ევროპარლამენტარები ასევე შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს, „ქართული ოცნების“ ლიდერებს, საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სახალხო დამცველს.⁵² შეხვედრის შემდეგ ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, რომ სამწუხარო იყო დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც საქართველოს მიმართ ევროკავშირმა გამოიჩინა და მას კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა.⁵³

22 ივლისს ვიოლა ფონ კრამონმა (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი), რომელიც ევროპარლამენტართა დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იყო,⁵⁴ ტვიტერზე განაცხადა, რომ ევროკავშირის კანდიდატობა მიიღწევა არა ერთი ცალკეული პარტიის მიერ, არამედ პოლიტიკური კლასის ერთიანობის გზით.⁵⁵

5.4. საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის ცვლილება

20 ივლისს საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, დიპლომატიური უფლებამოსილების დასრულების ნიშნად, საქართველოს მოსახლეობას ვიდეომიმართვით დაემშვიდობა.⁵⁶ მან ხაზი გაუსვა, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესების შედეგად, ევროკავშირმა საქართველო პოტენციურ მომავალ წევრად ოფიციალურად აღიარა.⁵⁷

კარლ ჰარცელი ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობას 2018 წლიდან ხელმძღვანელობდა და მისი უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა 2022 წლის სექტემბერში სრულდება.⁵⁸ საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეპ ბორელმა დელეგაციის ახალი ხელმძღვანელის თანამდებობაზე უკვე დაასახელა პაველ ჰერჩინსკი.⁵⁹

⁴⁹ დელეგაციაში შედიოდნენ: დევიდ მაკკალისტერი (ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი, ქრისტიან-დემოკრატები), ელიანა ზოვკო (ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი, ქრისტიან-დემოკრატები), სვენ მიქსერი (სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), ვიოლა ფონ კრამონ-ტაუბადელი (მწვანეები/ევროპელთა თავისუფალი ალიანსი), ტიერი მარიანი (იდენტობისა და დემოკრატიის ჯგუფი), ასიტა კანკო (ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი).

⁵⁰ „სალომე ზურაბიშვილი თბილისში ვიზიტად მყოფ ევროპარლამენტარებს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 20 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/501433>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵¹ იქვე.

⁵² „ევროპარლამენტის დელეგაციის წევრები პარლამენტის თავმჯდომარეს და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდნენ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 20 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31952441.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵³ „პრემიერი ევროპარლამენტარებთან შეხვედრაზე: სამწუხაროა ის დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც გამოიყენეს საქართველოს მიმართ“ საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 21 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31954034.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵⁴ „ევროკავშირის რეკომენდაციებზე მომუშავე ჯგუფები ერთიანობას არ იჩენენ - კრამონი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31955506.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵⁵ Viola von Cramon, Twitter post, 2022 წლის 22 ივლისი, 5:09 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3w4rTNi>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵⁶ „ევროკავშირის ელჩი საქართველოს მოსახლეობას ემშვიდობება: მომავალ შეხვედრამდე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 20 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31951490.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე.

ვიდეომიმართვის გავრცელების შემდეგ მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ „კარლ ჰარცელს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში მხოლოდ უარყოფითი როლი ჰქონდა“,⁶⁰ ხოლო პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის განცხადებით, კარლ ჰარცელს „შეეძლო, უკეთესად ემუშავა იმისთვის, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეღო“.⁶¹

კრიტიკას გამოეხმაურა პიტერ სტრანო, ევროკავშირის პრესსპიკერი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში.⁶² მან აღნიშნა, რომ საკუთარი ამბიციების შეუსრულებლობაში სხვების დადანაშაულება მხოლოდ მეტი დროის საჭიროებას ადასტურებდა იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობდა ევროკავშირი.⁶³

5.5. საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებაზე ანგარიშის პროექტი

13 ივლისს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშის პროექტი განიხილეს, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ევროპარლამენტის რეზოლუციას.⁶⁴ ანგარიში საქართველოს ევროკავშირში განვერიანების განაცხადის საფუძველზე ევროკომისიის მიერ მიღებულ შეფასებებს დაეყრდნო.⁶⁵ ანგარიშის ავტორმა, ევროპარლამენტარმა სვენ მიკსერმა საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უმაღლესი სტანდარტის დაცვისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ევროპული მისწრაფებების განხორციელების მიზნით ხელისუფლებას ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები უნდა შეესრულებინა.⁶⁶ მიკსერმა სინანული გამოთქვა ქვეყანაში არსებული ღრმა პოლიტიკური პოლარიზაციის გამო. მისი თქმით, ევროკავშირის შუამავლობით 2021 წლის 19 აპრილს მიღწეული შეთანხმება ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისკენ მიმავალ გზად რჩებოდა.⁶⁷

ანგარიშის პროექტზე საუბრისას ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ განაცხადა, რომ საქართველო ისტორიული შესაძლებლობის წინაშე იდგა და საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციასთან ერთად უნდა ემუშავა.⁶⁸ ქვეყნის მმართველ ელიტას დამოკიდებულების შეცვლა ურჩია ევროპარლამენტარმა ანა ფოტიგამაც. მისი თქმით, საქართველოს ინკლუზიური მთავრობა ესაჭიროებოდა.⁶⁹

13 ივლისს ევროპარლამენტში გამართულ სხდომაზე ევროკომისიის წარმომადგენელმა მიხაელ რუპმა განაცხადა, რომ ევროკომისია საქართველოს რეფორმების განხორციელებისთვის განსაზღვრულ ექვსთვიან ვადას 2023 წლის შემოდგომამდე გაუხანგრძლივებდა და საქართველოს მიერ 12 რეკომენდაციის შესრულების შეფასება კომისიის 2023 წლის გაფართოების პაკეტთან ერთად

⁶⁰ „ირაკლი კობახიძე კარლ ჰარცელს აკრიტიკებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 20 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/501504>, განახლებულია: 02.09.2022.

⁶¹ იქვე.

⁶² Peter Stano, Twitter post, 2022 წლის 21 ივლისი, 3:04 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3QF4KcJ>, განახლებულია: 02.09.2022.

⁶³ იქვე.

⁶⁴ „ევროპარლამენტის კომიტეტში საქართველოს შესახებ კრიტიკული ანგარიშის პროექტი განიხილეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 13 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31941447.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ „ევროპარლამენტმა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებაზე ანგარიშის პროექტი განიხილა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 13 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/500465>, განახლებულია: 02.09.2022.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.

იქნებოდა წარმოდგენილი.⁷⁰ რუპმა აღნიშნა, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას დეპოლარიზების პროცესში არ დააჩქარებდნენ და ქვეყანას საშუალებას მისცემდნენ, საფუძვლიანად ემუშავა რეფორმებზე.⁷¹

VI. საარჩევნო ბარიერის საკითხი

7 ივლისს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ, თუ ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებდა, „ქართული ოცნება“ მზად იყო, საკონსტიტუციო ცვლილებები გაეტარებინა და 2024 წლისა და ყველა მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ბარიერი 5 პროცენტთან 2 პროცენტამდე დაენია.⁷² კობახიძის თქმით, საარჩევნო ბარიერი არ იყო ევროკავშირის 12 პირობას შორის, ამიტომაც კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებას არ გეგმავდნენ.⁷³

ეს განცხადება უარყოფითად შეაფასეს ოპოზიციურმა პარტიებმა. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ირაკლი კობახიძემ ევროკავშირს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა.⁷⁴

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებებს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი 2021 წლის 7 სექტემბერს დაუჭირა,⁷⁵ რის შემდეგაც განხილვები აღარ გაგრძელებულა. 2021 წლის 2 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილების მიღების ვალდებულება ხელისუფლებას არ ჰქონდა.⁷⁶ საარჩევნო ბარიერის დანევა ე.წ. 19 აპრილის შეთანხმების ნაწილი იყო, რომელიც მმართველმა პარტიამ ხელმოწერიდან ას დღეში ანუღირებულად გამოაცხადა.⁷⁷

⁷⁰ „ევროკომისია საქართველოს მიერ რეკომენდაციების შესრულებაზე ანგარიშს 2023 წლის შემოდგომისთვის წარადგენს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/500603>, განახლებულია: 02.09.2022.

⁷¹ იქვე.

⁷² „ქართული ოცნება“ მზადაა, 2%-მდე დანოს ბარიერი, თუ საქართველო EU-ს კანდიდატის სტატუსს მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 7 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31933067.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁷³ იქვე.

⁷⁴ „ულტიმატუმი, აბსურდი, „გაშიფრული ფოკუსი“ - ოპოზიციამ საარჩევნო ბარიერის შესახებ კობახიძის ინიციატივა შეაფასა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 7 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31933323.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁷⁵ „ქართული ოცნება“ მზადაა, 2%-მდე დანოს ბარიერი, თუ საქართველო EU-ს კანდიდატის სტატუსს მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 7 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31933067.html>, განახლებულია: 02.09.2022.

⁷⁶ ნანუკა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი №26, ნოემბერი, 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zTkwcF>, განახლებულია: 02.09.2022.

⁷⁷ იქვე.